წელიწადი პირველი.

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თფილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

შაბათი, 5 მარტი, 1921 წ.

№ 4 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთხელ

ჩვენმა ახალმა მთავრობამ ყველას ნათლად დაუმტკიცა, თუ რამდენათ შეეფერებოდა სინამდვილეს ის მართლაც საშინელი პროვოკაციული ატმოსფერა, რომელიც შექმნა მენშევიკურ მთავრობამ ჩვენს გარშემო და ჩვენს შესახებ.

დღეს, ყველა პატიოსანმა მოქალაქემ, ვინც არ უნდა იყოს, რა პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უნდა გულახდილად სთქვას, რომ კომუნისტური მართველობა არ ყოფილა ისეთი, როგორც ამას ხატავდენ ყოფილი მმართველი პარტიის აგენტები. ყველამ, ვისაც კი შერჩენია სინდისის და ნამუსიანობის ნატამალი მაინც, უნდა აშკარად განაცხადოს, გულახდილად, გაბედულად სთქვას, რომ მენშევიკური მთავრობა ჩვენს მიმართ—უსირცხვილო ცილისწამებელი გამოდგა. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიამ, რომელიც დღეს მეთაურია და ხელმძღვანელი ჩვენი ახალი მართვა-გამგეობის—რომ, ამ პარტიამ გამოიჩინა იშვიათი კეთილშობილება და ლმობიერება, ადამიანობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ყველამ კარგათ იცის, თუ რა წარმოუდგენელი დევნას, წამებას, წვალებას და დაცინვას განიცდიდა ჩვენი პარტია და მისი თითოეული წევრი მენშევიკური ბატონობის დროს. შეიძლება ისტორიაში ბევრი არ მოინახოს მთავრობა, რომელიც კი ისეთი—სიმკაცრეზე არაფერს ვიტყვით—შურისძიებით, სიბოროტით და სიძულვილით ყოფილიყოს აღვსილი თავისი მოწინააღმდეგეთა მიმართ, როგორც საქართველოს ყოფილი მთავრობა ჩვენი პარტიისადმი. ვინც კი რამოდენიმეთ, ზერელეთაც მაინც იცნობს ჩვენი და მენშევიკების ბრძოლას ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში—მისთვის ადვილად გასაგები იქნება ჩვენი ეს სიტყვები. და... აი ჩვენ დღეს გამარჯვებული ვართ. ჩვენს ხელშია ყოველივე საშუალება, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეთ პასუხი მოვთხოვოთ მათი გუშინდელი ნამოქმედარისთვის ჩვენს მიმართ. ჩვენ ამის **უფლებაც გვაქვს**, არა უფლება გამარჯვებულისა, ძალისა, არამედ—უფლება სამართლიანობისა, პასუხისმგებლობისა. ჩვენს ადგილას, რომ მენშევიკური, ან სხვა რომელიმე ჩვენი მოწინააღმდეგე პარტია იდგეს—განა იგი ჩვენზე პარიზის კომუნის და თეთრი უნგრეთის სისხლის ზეიმებს არ გაითამაშებდა?! ჩვენი მთავრობამ კი... ამნისტია გამოაცხადა იმათ მიმართ, ვინაც მისი შემადგენლობა **კანონის გარეშე გამოაცხადა**, ე. ი. ყველა ქუჩის არამზადას დაავალა, უფლება მისცა მათი სიცოცხლის მოსპობისა... სამართლიანი პასუხის მოთხოვნის, სამაგიეროს გადახდის მაგივრად—პატიება; სიმკაცრის და სიბოროტის მაგივრად—გულკეთილობა, ადამიანობა! ამ მოქმედებით საქართველოს კომუნისტური პარტიის წიაღიდან გამოსულმა სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ყველას ერთხელ კიდევ დაუმტკიცა, რომ ისინ, ვისაც უწოდებენ მხეცებს და უგულოებს, ვისაც კანონის გარეშე აცხადებენ—ნადირებივით დასხოცათ, ვისაც ყოველივე ადამიანურის და კულტურულის გამაცამტვერებლათ ხატავდენ—აი ისინი პირიქით ყოფილან ადამიანობის და გულკეთილობის პირველი მოციქულები... და არც შეიძლება სხვაფრივ ყოფილიყო... იმ პარტიას, რომელსაც ყველაფერი მომავალში აქვს, რომლისათვისაც მუშაობს თვით ისტორია, რომელსაც წილად რგებია ახალი კაცობრიობის შესაფერ შენობის შენება, და თვით ამ კაცობრიობის გარდაქმნა—ასეთი პარტია არ შეიძლება იყოს შურის მაძიებელი, რა გასამართლებელი საბუთებიც არ უნდა ქონდეს მას. წარსულის ქმბას ჩვენ არ დავიწყებთ—ჩვენი მოწინააღმდეგეთ საწინააღმდეგოთ. ეს ჩვენ არც გვჭირია და არც საამისო მოცლა გვაქვს. ჩვენ მომავლისკენ მივდივართ, მძიმე ტვირთის მზიდავნი და ვინც ჩვენ ამაში გვერდში ამოგვიდგება და შრომას გაგვიადვილებს—ის ჩვენი მეგობარი და ამხანაგი იქნება.

სურსათის შესახებ

საზოგადოთ დღევანდელ ცხოვრების გართულებულ პირობებში სასურსათო საკითხი მცხოვრებთა დიდ ყურადღებას იპყრობს. ბრმა ბედის ანაბარად მიტოვებულ გამოფიტულ თბილისის მცხოვრები საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დღიდან შემოსვლისა სასოწარკვეთილებას მიეცნენ, ვაი თუ სასურსათო დახმარება აღარსაიდან იყოს და რა გვეშველებაო, მაგრამ საქართველოს საბჭოთა რევკომის მიერ დროზე მიღებულ სათანადო ზომების წყალობით სასურსათო საკითხი დღითი-დღე უმჯობესდება და რასაკვირველია, ადგილობრივ მცხოვრებთა სასოწარკვეთილებაც განელდა. საქართველოს საბჭოთა რევკომის განკარგულებაა თბილისის ნარპროდკომს გადაეცეს 40 ვაგონი ხორბალი, რომელიც უკვე მიღებულია საბჭოთა რუსეთიდან. განზრახულია სასწრაფოდ მოეწყოს სასურსათო კომიტეტები ჯერჯერობით დღიდან მუშა-მოსამსახურეთ სულზე მიეცემათ ნაცვლად $^{3}/_{4}$ გ. 1 გირ. პური და მცხოვრებლებს $^{1}/_{2}$ გირ. გაგზავნილია აგენტები ბორჩალოს, სიღნაღის მაზრებში და ზაქათალის ოლქში ხორბლისა და აგრეთვე სხვა სურსათ-სანოვაგის შესაძენად. დღეს-დღეობით თბილისის ნარპროდკომის განკარგულებაშია 12 საქალაქო სავაჭრო და 24 კოოპერატივი. მიღებულია ზომები ასეთ სავაჭროთა რიცხვის რაც შეიძლება გადიდებისათვის, საიდანაც გარდა მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიურ საჭირო სურსათ სანოვაგით ადგილობრივი მცხოვრებლებიც იქნებიან დაკმაყოფილებულნი. განზრახულია მაგ. ოჯახზე მიეცეს თვეში ერთი ფუთი ნავთი, აგრეთვე შაქარი, საპონი და სხვა განზრახულ ფარგლებში. ამნაირად, როგორც მუშა მოსამსახურეთა, აგრეთვე ქალაქის დანარჩენ მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გაორკეცებული ტემპით სწარმოებს მუშაობა, რაიც უტყუარ საწინდრად უნდა ჩაითვალოს ახლო მომავალში ნორმალურ ცხოვრების თავის დონეზე დაყენებისა და გამაგრებისა.

შითვალიური.

საბჭოთა საქართველოში.

ამხ. შალვა ელიავას სიტყვა ხელოვნების მუშაკებთან

მარტის ორს სახელმწიფო თეატრში შედგა საორგანიზაციო კრება ხელოვნების მუშაკებისა, რომელსაც დაესწრო 1335 წევრი. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შ. ელიავამ პოლიტიკურ მომენტის შესახებ. მან აღნიშნა, თუ რამდენათ ძნელია საბჭოთა მოღვაწისათვის გამოსვლა იმ სიცრუისა, ცილისწამებისა და მოწამლულ ატმოსფერის შემდეგ, რომელიც მენშევიკებმა შექმნეს საქართველოში. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო აბსოლიუტურად სუვერენულია ეროვნულ სახელმწიფოსა და კულტურულ [illegible] საქმეში. დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიზაციისა და ძალმომრეობას. იმათ ხელები მოეკვეთება ვინც ძველის დაბრუნებას მოინდომებს. ამ მხრივ არავის ჩარევას არ შევიწყნარებთ.

ჩვენ ამ ჟამად საქართველოში უდიდეს ცდას ვახდენთ ევროპისა და აზიის საზღვარზე, ჩვენ აღმოსავლეთი უნდა გავხადოთ რევოლიუციის მოკავშირეთ. საქართველოს ამ ცდას მუშათა ძალები ისე უყურებს, როგორც მაგალითს დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის. ამ მუშაობაში ხელოვნებისა და კულტურის ყოველ მუშაკ ჩვენთან იქნება. მათ ჩვენ გადავცემთ ჩვენს მძლავრ სახელმწიფო აპარატს.

მე ვთავდები ლოზუნგით: გაუმარჯოს ძველის დიდ მემკვიდრეობას—ხელოვნებას და კულტურას და მომავალის ამაღორძინებელს. გაუმარჯოს ხელოვნებას, გაუმარჯოს ხელოვნებასა და კულტურის პატრონს მუშაკთა გაერთიანებას. ჩვენ თავს გვაცნობდენ მკარცველებათ, მოძალადეებათ, კაცის მკვლელებათ და ამ გვარ დახასიათებას ამაგრებდენ ისეთი ავტორიტეტული დაწესებულებით, როგორც არის დამფუძნებელი კრება. ყოველი საშუალებით ცდილობდენ დაეჩრდილათ რუსეთის დიდი რევოლიუციის როლი, რომელიც მთელ მსოფლიოში რევოლიუციონურ ძალების ერთად ერთი წყაროა. ორ ეპოქის საზღვარზე, როდესაც ძველ დაყოფას ცვლის კლასიური დაყოფა და სწარმოებს მკაცრი ბრძოლა ხალხის ფართო მასებში ძალაუფლების დასაპყრობად, საქართველო, რომელიც სდგას რევოლიუციონურ აღმოსავლეთისა და რეაქციონურ დასავლეთის წინ, მენშევიკების გამცემლობის წყალობით კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ იყო გამხდარი, მის ტერიტორიაზე ეწყობოდა კონტრ.რევოლიუციონერთა შტაბები, მისი მთავრობა კი სათამაშოთ ხდებოდა ანტანტის ხელში. ამიტომაც მომხდარი თებერვლის გადატრიალება აუცილებელი ისტორიული ნაბიჯია,—რომელიც არსებითად სოციალისტური რევოლიუციის დამცველია.

თქვენ, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებო, უპირველეს ყოვლისა გაინტერესებთ როგორი იქნება თქვენი მდგომარეობა გადატრიალების შემდეგ. და ჩვენი უმთავრესი მიზანია გავფანტოთ ბურჟუაზიულ პრესის მიერ გავრცელებული ყალბი ტენდენციოზური და ცილისწამებით სავსე ინფორმაცია. საბჭოთა რესპუბლიკები პირველია, რომ სახელმწიფო ყოველ მხრივ ეხმარება ხელოვნებისა და კულტურის ასპარეზზე მომუშავეთ. ხელოვნებასა და კულტურას ჩვენთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მთელი რუსეთი დაქსელილია კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებით, ბიბლიოთეკებით, სკოლებით, თეატრებით, მუზეუმებით და სხ. ჩვენი ჯარი, რომელიც უმაგალითო ლაშქრობას ეწევა (ტაშის ცემა), ერთ უკულტურესი ჯართაგანია მთელ მსოფლიოში. ჯართან არსებობს მრავალი კულტურული სკოლები. ამ გვარათ შეერთებულია სისხლის მღვრელი ბრძოლები კულტურულ მოღვაწეობასთან. განათლებისა და ხელოვნების დარგში არც ერთი სახელმწიფო არ მუშაობს იმდენათ, რამდენათაც ჩვენ. ჩვენ მივიღებთ ყველას, ვინც კი დასახმარებლათ მოვა ჩვენთან და ბოროტ მოწინააღმდეგეთ კი ვეტყვით: „ჩვენ უთქვენოთაც შევძლებთ საქმის გაკეთებას".

რასაკვირველია დღეს, როდესაც მტერთან ბრძოლა კიდევ გრძელდება, ძნელია ორგანიული მუშაობის წარმოება და ამ დროს თქვენი მიზანი უნდა იყვეს ახალი უფლებრივი წესის დაცვა უზრუნველყოთ და შემდეგ შეხმატკბილებული გავრეკავთ სპეკულიანტურ ელემენტებს, რომლებითაც სავსეა ბურჟუაზიულ საზოგადოების ხელოვნება და კულტურა.

შიშია იმის გამო, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს ახალი მთავრობა ეროვნულ კულტურისა და ხელოვნების შესახებ. ჩვენ ისეთი მთავრობა ვართ, რომ კი არ ვშლით ნაციონალურ თავისუფლებას, არამედ ვცავთ მას და უზრუნველვყოფთ მის თავისუფალ განვითარებას. მენშევიკები ამბობდენ რომ ჩვენ უარმყოფელი ვართ სახელმწიფოების, ხელოვნების და კულტურისა.

საბჭოთა მთავრობა გორში

საქართველოს რევკომმა შემდეგი დეპეშა მიიღო: მარტის 1—21 საათზე შესდგა დროებითი რევკომი, რომელშიაც შედის №-ის ცხენოსანთა დივიზიის წარმომადგენელი. გთხოვთ სასწრაფოდ გამოგვიგზავნოთ მომუშავენი დარიგებით, ქაღალდებით და ბეჭდებით. ქალაქში საბჭოთა ხელის უფლება მტკიცდება. რევკომი [illegible].

ბორჩალოს მაზრაში

საქართველოს რევკომის მიერ მიღებულია ბორჩალოს მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ერიციანის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დეპეშა: „საქართველოდან განდევნილმა პასუხისმგებელმა პარტიულმა ამხანაგების ბორჩალოს ჯგუფმა ბაქოდან ჩამოსვლისთანავე მოაწყო სამაზრო პარტიული და [illegible] რევოლიუციონური კომიტეტები, სადაც შედიან განდევნილი ამხანაგები. ადგილებზე იგზავნება რევკომის წევრები და პარტიული ამხანაგები საბჭოთა პარტიულ მუშაობისათვის".

საქართველოს რევკომში.

საქართველოს რევკომის სხდომამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით დაადგინეს:

1) საქართველოს ს. ს. რ. სასურსათო საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. მ. ოკუჯავა. კოლლეგიის წევრებად დაინიშნება ოთხი ამხანაგი, მაგრამ, ვინაიდან ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს მხოლოდ თფილისის ფარგლებში, კოლლეგიაში დაინიშნოს პერსონალურად ამხ. ერქომაიშვილი (იგივე სახ. სარ. კომ. მოადგილე) და ამხ. ამირაგოვი; რაც შეეხება დანარჩენ ორ წევრს, მათ შესახებ საკითხი ჯერჯერობით ღიათ იქნეს დატოვებული.

2) პურის ფასი გაუქმებულ იქნეს და მუშებსა და მოსამსახურეებს პური დაურიგდეთ უფასოთ.

3) სახალხო გვარდიის შტაბის სასოფლო სამეურნეო განყოფილების ქონების აღსარიცხავად და დასაცველად დაინიშნოს ამხ. ნ. სოკოლოვსკი.

4) აზერბეიჯანის ს. ს. ს. რესპუბლიკაში მყოფ ქართველ ტყვეების შესახებ პირველ რიგში მიღებულ იქნენ დუშელები და კასიელები, და შემდეგ ქართლელები (მენშევიკები და ოფიცრები გადარჩეულ უნდა იქნენ). საქართველოს რევკომმა დაადგინა: წინადადება მისცეს სასურსათო კომისიას, რომ რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ოთხფეხი საქონელი გადაეცეს ქალაქ თფილისის სამხედრო საავადმყოფოებს.

სპარსეთის გენერალური საკონსულოსაგან.

სპარსეთის გენერალური საკონსულო მთელი თავისი შემადგენლობით და თვით გენერალური კონსული მოაზზაზედ დოვლე დარჩენ თბილისში, ამ გადაწყვეტილებას ასაბუთებენ თავისი მთავრობისაგან წასვლის ინსტრუქციის მიუღებლობით, მეორეს მხრით მათი მოქმედება ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში და ამ მომენტში მიმდინარე ამბების გამო არ შეეძლო უმფარველოთ დაეტოვებინა მრავალი თავიანთი მოქალაქე სხვა და სხვა ეროვნებისა, რომლებიც დღეს თბილისში სცხოვრობენ და ითვლება 15 ათასი კაცზე მეტი. და ბოლოს იმყოფება რა განსაკუთრებულ მეგობრულ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში საბჭოთა მთავრობასთან და აქამდის ხედავდა რა მათ მხრიდან ყურადღებას და კეთილ განწყობილებას თავის სახელმწიფოსა და მათ მოქალაქეებისადმი, გენერალური კონსული რჩება რა თბილისში, დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახალი საბჭოთა მთავრობაც კეთილ განწყობილებაში იქნება, როგორც მისდამი, ისე მის თანამემამულეებთან.

მისალმების დეპეშა

საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოსაგან 3 მარტს მიიღო შემდეგ დეპეშა: აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭო მიესალმება საქართველოს რევკომის სახით [illegible] რევოლიუციის გამარჯვებას, რომელმაც მოსპო [illegible] კონტრ-რევოლიუციის [illegible] კავკასიაში, რომელიც [illegible] უკანასკნელი [illegible]

მოსავლეთისა და მსოფლიო რევოლიუციის კერია. ამიერიდან ყოველნაირ დაბრკოლებისაგან თავისუფალი კარებით შეიჭრება ევროპიდან აზიაში ძლიერი პროლეტარული რევოლიუცია, გაალვიძებს მთელ აღმოსავლეთის ხალხებს, დააყენებს მათ ფეხზე, გაანთავისუფლებს მათ დასავლეთის იმპერიალისტების მონობისაგან და შეაერთებს ერთს განუყოფელს აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერაციათ, გაჭიმულს თეთრიდან წითელ ზღვამდე. აღმოსავლეთის ხალხთა საბჭოსაგან მხურვალე სალამი.

იუსტიციის კომისარიატში.

იუსტიციის კომისრის თანაშემწეთ დანიშნეს ამხ. ა. გ. ბადაშვილი. კომისარიატის საქმის მმართველათ დანიშნეს ი. ს. დავიდოვი, იუსტიციის კომისრის ბრძანებით წინადადება მიეცა ყოფილი იუსტიციის სამინისტროს ყველა დაწესებულების მოსამსახურეებს დარჩნენ თავთავიანთ ალაგზე ახალ განკარგულებამდე. იუსტიციის კომისარიატში სასამართლოს რეორგანიზაციამდის ახალი მოსამსახურეები არ მიიღება.

ხუთშაბათს, მარტის 3 შესდგა ყოფილი იუსტიციის სამინისტროს ყველა დაწესებულებათა მოსამსახურეების მრავალრიცხოვანი განსაკუთრებული კრება. კრებას დაესწრო იუსტიციის კომისარი ამხ. კარტოზია და თანაშემწე ამხ. ბადაშვილი. ამხ. პოლუმორდვინოვის კრების თავმჯდომარეთ არჩევის შემდეგ კრებას მიმართა სიტყვით იუსტიციის კომისარმა ამხ. კარტოზიამ, რომელმაც განაცხადა: ახალი მთავრობა მოვიდა არა იმისთვის, რომ დაამსხვრიოს ქართველი ხალხის ცხოვრება, არამედ შექმნას ახალი, უკეთესი ცხოვრება, გააუმჯობესოს მუშათა კლასის და მშრომელ ინტელიგენციის ეკონომიური მდგომარეობა. საქართველო დარჩება დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკათ,—მოხდა მხოლოთ გამოცვლა ორიენტაციის, ძველი მთავრობის ორიენტაცია ანტანტაზე შეიცვალა ახალი მთავრობის ორიენტაციით რუსეთზე. აუარებელი სიმდიდრე, რომელსაც ძველი მთავრობა ხარჯავდა ჯარზე, ახლა ეს ფული დაიხარჯება სახალხო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, ვინაიდან ჯარი ძალიან მცირე დაგვჭირდება. შემდეგ კომისარმა სთქვა:—„მე ვიცი, და ვხედავ, რომ თქვენ ლოიალურად უყურებთ ახალ მთავრობას. ეს ასეც უნდა იყოს —ვინაიდან თქვენ ხალხის მუშაკები ხართ და არა რომელიმე კლასი. რასაკვირველია, უცბად ხალხის სამოთხის მოწყობა შეუძლებელია, მაგრამ, როდესაც ყველაფერი დამშვიდდება და შევა ნორმაში, მუშების და ინტელიგენციის ცხოვრება შედარებით ძველ ცხოვრებასთან ძალიან გაუმჯობესდება." შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კომისრის თანაშემწე ამხ. ბადაშვილმა: „როგორც თქვენ მოისმინეთ ჩემ უფროს ამხანაგისგან, სთქვა მან,—ახალი მთავრობა არ სდევნის იდეებისათვის, წინააღმდეგ გამოცხადებულია ამნისტია და ყველა თქვენ მოწოდებულნი ხართ სამუშაოთ. მე აქ მოვედი ორი მიზნით: 1) რომ ქართველმა ხალხმა არ დაკარგოს დედა-ენა (ტომში) და 2) ვიცნობ რა სასამართლოს, ყველა მოსამსახურეს, არ მივცე საშუალება, შემოძვრეს სასამართლოში უღირსი ელემენტები, რომლებმაც უკვე წამოყვეს თავი და აწუხებენ კომისარს თხოვნებით სამსახურში მიღების შესახებ. შემდეგ ამხ. ბადაშვილმა სთქვა, რომ სასამართლოს ახალ საბჭოთა საფუძველზე გარდასაქმნელად შესდგა საგანგებო კომისია და არსებული მოსამსახურეთა შემადგენლობა დარჩება თავთავიანთ ადგილებზე. ბოლოს ამხ. ბადაშვილმა წინადადება მისცა კრებას აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები, რომელთა ხმას ის ყურადღებას მიაქცევს.

მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრებამ შეიტყო რა, რომ იუსტიციის კომისარიატში შედის ამხ. ბადაშვილი, რომელიც იცნობს სასამართლოს ყველა მოსამსახურეებს და მათ საჭიროებებს, მიესალმება ამ დანიშვნას და იმედს გამოსთქვამს, რომ ამხ. ბადაშვილი, შემდეგშიაც მშრომელ ელემენტის საკეთილდღეოდ იმუშავებს. შემდეგ იუსტიციის სამინისტროს მოსამსახურეთა ძველი გამგეობის სახელით ამხ. კანდელაკმა განაცხადა, რომ მოსამსახურენი ენერგიულად იმუშავებენ და მხარს დაუჭერენ ახალ მთავრობას, რომელიც დაპირებას იძლევა, რომ იგი პატივს სცემს ეროვნულ გრძნობას და გააუმჯობესებს ეკონომიურ მდგომარეობას. დასასრულ კრებამ აირჩია იუსტიციის კომისარიატის მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის დროებითი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: რონინიშვილი, კანდელაკი, მელვინეთ უხუცესი, ტყემალაძე, დიდია, პოლუმორდვინოვი, ელიაშვილი და პოპოვი.

საბჭოთა მთავრობა — მშრომელების მთავრობაა. გვერდით ამოუდექით მას.

საბჭოთა რუსეთში

ლოზუნგები.

მოსკოვი. 2 მარტი (რადიო). რაც უფრო მეტ მიწას მოხნავს გუთანი, მით უფრო ძლიერი იქნება ჩაქუჩის ცემა. შრომას მოაქვს სიმდიდრე, მიწა კი დედაა მისი.

დასათესად.

მოსკოვი. 2 მარტი. (რადიო). მიწები მთლად უნდა დაითესოს. გაზაფხული მოახლოვებულია. საგაზაფხულო მუშაობა უნდა სწარმოებდეს დიდი ენერგიით, არც ერთი სახნისი, არც ერთი ფარცხი არ უნდა დარჩეს უსარგებლოთ. ვისაც ესენი აქვს და არ სჭირია, უნდა მისცეს მას, ვინც საჭიროებს.

ლოზუნგები.

მოსკოვი. 3 მარტი. (რადიო). ერთსულოვანი შრომით დავხნათ, დავფარცხოთ, დავთესოთ და გავაპოხიეროთ დედა მიწა. ყველამ საქმეს ხელი მოჰკიდოს, გაამდიდროს ღარიბი მშრომელი რესპუბლიკა. გუთანო და კვერო, დაეხმარეთ ერთმანეთს, რაც მეტ მოშლილ გუთნებს შევაკეთებთ კვერით, იმდენათ უფრო ადვილი იქნება მიწის დამუშავება, იმდენათ უფრო მეტ ხნულს დათესავს გლეხი. გლეხებო, მოეხმარეთ მეზობლებს ცხენითა და გუთნით. ცხენის და გუთნის არ მქონე უნებურად ცულლუტი გახდება. მშრომელ რესპუბლიკაში არ უნდა იყვნენ ცულლუტები. დაეხმარეთ ერთი-მეორეს თესლეულებით. განაწილება თესლებისა ხელსაყრელია არა მარტო არ მქონეთათვის, არამედ შეძლებულთათვისაც. თუ არ დაეხმარებით მეზობელს თესლებით, მიწა მისი დაუხნავი დარჩება, შრომა მისი მოუხმარებელია. მაგარათა მთელი სიმძიმე დააწვებათ მხოლოდ შეძლებულებს. ვისაც არ უხნავს, ის უნდა არჩინოს საზოგადოებამ. გაამაგრეთ და მხარი დაუჭირეთ სოფლის კომიტეტებს, ისინი მისთვის არიან შექმნილნი, რომ აამაღლონ და გააუმჯობესონ გლეხის მეურნეობა გლეხის შრომით, გლეხის ნებით. ცხოვრების დაშლას ჩვენ აგვაცდენს მშრომელთა ცოცხალი თვითმოქმედება და ნამდვილი წესრიგი საერთო მუშაობისა, არც ერთი ნაბიჯი სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა გლეხთა და მათ მიერ ამორჩეულთა მონაწილეობის მიუღებლათ. მუშა—გლეხთა ხელისუფლების მიზანია, შეიტანოს შრომაში ერთიანი გეგმა. მთელი ძალა გლეხთა საურთიერთო დახმარების განმტკიცებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ახალგაზრდობა მიწისკენ ისწრაფის.

მოსკოვი 3 მარტი. (რადიო). პიატიგორსკის პროლეტარული უნივერსიტეტის მსმენელნი შუამდგომლობენ უნივერსიტეტთან აგრანომიულ განყოფილების გახსნისათვის. ახალგაზრდობას სურს მიიღოს პრაქტიკული და თეორეტიული განათლება სასოფლო მეურნეობაში. ახალგაზრდობის სურვილი სრულდება.

მოსკოვი 3 მარტი. სუსტ ცხენებს მოუარეთ თავი ერთათ, მორიგეობით დაამუშავეთ მინდვრები. უფრო ღონიერი და მძლავრი მეურნეები, უნდა დაეხმარენ სუსტებს. სოვხოზებმა და კოლხოზებმა უნდა მისცენ თავისი იარაღი და მანქანები გლეხების მინდვრების დასამუშავებლათ. სახელმწიფო გაგზავნის სოფლებში ყველა თავისი სამეურნეო იარაღს, მანქანებს და მანქანების სათადარიგო ნაწილებს მეურნეთათვის უფასოთ დასარიგებლად. მუშები და ხელოსნები, ვინც ფაბრიკებში და ქარხნებში არა მუშაობენ, ვალდებულნი არიან წავიდნენ სოფლებში, შეაკეთონ გუთნები და სახნისები. წითელ არმიის ნაწილები, რომელთაც მიატოვეს ჯარი და თავისუფალნი არიან მორიგი ვალდებულებისაგან, უნდა წავიდნენ სოფლებში თავისი ცხენებით, ეტლებით და სამზარეულოთი, რათა დაეხმარნენ გლეხებს ხვნაში, ლეწვაში, პატივის ზიდვაში და სხვ. საჭიროა მოქმედება უფრო სწრაფი და ერთობრივი, რათა არც ერთი ნაწილი მიწისა არ დარჩეს დაუთესველი. მრეწველო და მუშავ, უშველე სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობა განიცდის გაჭირვებას ყველაზე უფრო იმიტომ, რომ აკლია სასოფლო სამეურნეო ინვენტარი. პროფესიონალურმა კავშირებმა სამეურნეო ცენტრებთან ერთად უნდა შეიმუშაონ გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს მეტალურგიული მრეწველობის ქარხნები, რომ მრავლათ გაკეთდეს სამეურნეო იარაღი, მანქანები და სათადარიგო ნაწილები და აგრეთვე გაძლიერებულ იქმნას მოქმედება ამ ქარხნებისა. თავისი მოქმედების საფუძვლათ სოფლათ პროფესკავშირებმა უნდა აირჩიონ სამეურნეო საბჭოები, რომლებიც რაც შეიძლება მეტი, უნდა მიეწერნენ გაერთიანებულ საწარმოებს. მომქმედი კავშირები ვალდებულნი არიან მოაწყონ მათზე მიწერილი სოვხოზები სასოფლო სამეურნეო სარემონტო სახ[illegible] ამისთვის უნდა ისარგებლონ [illegible] ქარხნების მუშ[illegible] მატ რიალური ძალღონით. ყველა კა შირი ვალდებულია გამართოს მოაწყოს, რაც შეიძლება, მეტ სახელოსნო და სამჭედლო, ინვენტა რის სასწრაფო რემონტისათვის. ქარ ნების ყველა ნამტვრევი მასალა უნდ ჩაბარდეს სარემონტო სახელოსნოებ ქარხნებში დარჩენილი ყოველგვარი მა სალა, რომელიც გამოდგება, მიწის გა პოხიერებისთვის, მაგალითათ ნაცარ და სხვ. უნდა გადაეცეს სოფლებს პროფეს. კავშირებმა სოფლის მეურნეო ბას უნდა მისცენ რაც შეიძლება, მეტ მომზადებული მუშები სარემონტო სა ხელოსნოების, ინსტრუქტორებისა ორგანიზაციების. შესადგენათ უნდ მოეწყოს გუნდები ჩილინგრებისა, მჭედ ლებისა და სხვ. გაძლიერებულ მუშაო ბის დროს პროფეს. კავშირებმა უნდ შეაგროვონ და გაგზავნონ მინდორში სამუშაოთ.

პროფესკავშირები უნდა დაეხმარნე სოფელს სოფლის ცხოვრების რეორგა ნიზაციის საქმეში, ბავშვთა თავშესაფა რებისა, საზოგადო სამრეცხველოებისა კლუბებისა, სამკითხველოებისა და სხვ ამ გვარის დაარსებით. საჭიროა რა შეიძლება მჭიდროთ დაკავშირდეს სო ფელი და ქალაქი თვით მუშათა დ გლეხთა ინტერესებისათვის (დამახინ ჯებულია).

ჩვენი საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 3 მარტი. (რადიო). ამ ჟა მად საგარეო ვაჭრობის განკარგულება ში იმყოფება საზღვარგარეთ გასაგზავნ 500 მილიონის (ოქროთი) სხვადასხვ საქონელი. 1920 წლის განმავლობაშ ჩვენ მივიღეთ საზღვარგარეთის საქონე ლი 5,000,000 ფუთზე მეტი, რომლი დანაც 2,000,000 ფუთზე მეტი ნახში რი იყო, 80,000 ტყავი, ფეხსაცმელ 26,000, თესლეულობა 46,000, სპილენ ძი 10,000, ტყავის დასამზადებელ ექსტრაქტი 67,000 ფუთი და საელექ ტრონო მასალები 7,000 ფუთი.

რუსეთ-ოსმალეთის კავშირი.

მოსკოვი (რადიო) რუსეთ-ოსმალე თის კონფერენციამ მოსკოვში შეიძლებ რუსეთ-ოსმალეთის შორის კავშირი და ამყაროს. მსოფლიო რევოლიუცია ძლი ერდება მთელ ფრონტზე. აღმოსავლეთ ში მშრომელთა ხალხის ძალა მიმართუ ლია უცხოელ სახელმწიფოების წინააღ მდეგ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

განხეთქილება იტალიის სოციალისტურ პარტიაში.

ლივორნოში მომხდარ სიეზდის შემდეგ, განხეთქილება იტალიის სოციალისტურ პარტიაში, მომხდარ ფაქტათ ჩაითვლება. ძირითად რეზოლიუციების კენჭის ყრამ შემდეგი შედეგი მოგვცა: „გამაერთიანებელნი"—98 ათასი ხმა, „შეურიგებელი კომუნისტები"—57 ათასი ხმა და მემარჯვენეები—14 ათასი ხმა. ჯერ კიდევ ლივორნოს კონგრესამდი მოხდა შესამჩნევი ცვლილებანი. დამოუკიდებელი ჯგუფი „მაქსიმალისტ-ბოიკოტისტები"-სა აღარ არსებობს. ბორდიგას ჯგუფი კომუნისტების კონფერენციის შემდეგ, რომელიც შესდგა 1920 წლის ნოემბერში ქ. იმოლეში, მათ შეუერთდა ფრაქცია „ბოიკოტისტებისა", „ავთ" იყო „მემარჯვენეობის საყმაწვილო სენით", მაგრამ მშვიდობიანათ გადარჩა.

მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის შემდეგ ჩამოყალიბებული „სერატიანელები" და ყოფილი კომუნისტური ფრაქცია ბოლონიის კონგრესზე, გარდაიქცა „გამაერთიანებლათ", რომლებიც ბოლონიის კონგრესზე წარმოადგენდენ ლაცზარის ჯგუფს. მათ ემხრობოდათ აგრეთვე „მემარჯვენეები"—ლივორნოში (ტურატი და ტრევესი). სამაგიეროდ ჩვენ ვხედავთ ორგანიზაციულად შეკავშირებულს კომუნისტურ ჯგუფს „შეურიგებელ კომუნისტებისას" ბომბაჩის და გრაციადეის ხელმძღვანელობით.

მემარჯვენე ჯგუფი უმნიშვნელოა, რაც გამოჩნდა კონგრესზე კენჭის ყრამ. და არავითარი გავლენა მასაში მას არა აქვს. განხეთქილება ამიტომ უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა „გამაერთიანებელთ" და „შეურიგებელ კომუნის- [illegible] სიდან იტალიის დელეგაციის დაბრუნების შემდეგ, უთანხმოება ამ ორ ჯგუფთა შორის უმთავრესათ ტრიალებდა ტაქტიკურ საკითხების გარშემო. სერატი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ თავიდან აეცილებინა განხეთქილება, რომელიც გამომდინარეობდა 21 მუხლის უცვლელათ მიღებისაგან. „შეურიგებელთ" კი გადაწყვეტილი ქონდათ იმოლეს კონფერენციაზე: „დეე ვიყოთ ცოტანი, მხოლოდ უეჭველათ კომუნისტებით" უთანხმოება სერატისა და ბომბაჩის შორის ლივორნოს კონგრესის მოახლოვებისას უფრო გაღრმავდა.

2 დეკემბრის გაზ. „ავანტში" სერატი უპასუხებს რა ლენინის წერილს, ცდილობს გაამართლოს თავისი პოზიცია და აძლევს სეკტემბრის მოძრაობას ისეთ შეფასებას, რომელიც ბევრით არ განირჩევა დარაგონის რეფორმისტულ პროგნოზისაგან.

პარტიაში შინაგანი ბრძოლა ხდებოდა სწორეთ იმ დროს, როდესაც საერთო პოლიტიკური მდგომარეობა გართულებული იყო.

როგორც ბურჟუაზიის, ისე მშრომელთა ბანაკში, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში სწარმოებს ძალთა აჩქარებული კონცენტრაცია. 1913 წელს კლერიკალურმა პარტიამ პარლამენტის არჩევნების დროს მიიღო 301,449 ხმა, 1919 წელს—1,117.552 ხმა.

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ 1913 წელს მიიღო 850.000 ხმა, 1919 წელს—1.840 593 ხმა.

გაძლიერება ამ ორ უკიდურეს პარტიათა მოხდა საშუალო, მერყევ ელემენტების ხარჯზე, როგორიც არიან სხვა და სხვა ჯურის „ლიბერალები" და „რესპუბლიკანელები". 1913 წელს [illegible] 46% მიცემულ ხმებისა, 1919 წელს კი მხოლოდ 17% ხმებისა. ასეთი იყო უკანასკნელად ძალთა განწყობილება იტალიაში მომქმედ პოლიტიკურ ძალებისა.

„გამაერთიანებელნი" მიუთითებდენ რა ამ ფაქტზე, მიილტვოდენ თუ შესაძლებელი იქნებოდა შეენარჩუნებიათ პარტიის მთლიანობა, ამავე დროს არ იყვნენ წინააღმდეგი პარტიის სახელწოდების შეცვლისა და მისი გადაქცევის III ინტერნაციონალის სექციათ, ამასთანავე ღებულობდენ პარლამენტარიზმის შეფასებას იმ სახით, რა სახითაც ის ქონდა წარმოდგენილი კომინტერნს. ბევრი ბრძოლა და კამათი იყო პარტიაში ლივორნოს სიეზდამდე იმის გარშემო, შეუძლია თუ არა იტალიის პროლეტარიატს, რომლის მრეწველობითი მუშაობა სავსებით დამოკიდებულია ანტანტის მოზიდულ ნედლი მასალისაგან, სათბობისაგან და პურისაგან, გამოაცხადოს საბჭოთა ძალა-უფლება, და შეინარჩუნოს ის, იმ პირობაში თუ ანტანტა მას ბლოკადას შემოარტყამს. მიუხედავათ ასეთი, ვითომდა მძიმე საბუთებისა, „გამაერთიანებლებმა" მაინც ვერ შესძლეს კომუნისტების დაშინება. და იტალიის კომუნისტურ პარტიას, როგორც დაადგინა კონგრესის კენჭის ყრამ, ყავს 60 ათასი წევრი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახალგაზრდა სოციალისტთა ფედერაციებს, რომელთაც 50 ათასზე მეტი წევრი ყავთ.

იტალიის სოციალისტები გრძნობენ პარტიის განხეთქილების ტრაღედიას. „გამაერთიანებელნი" და თვით მემარჯვენენი (როგორც ეს განაცხადა ლივორნოს კონგრესზე ლაცზარიმ) სთვლიან თავის თავს ღირსათ მე-3 ე ინტერნაციონალში შესასვლელათ, ამასთან არწმუნებიან, რომ ისინი მუდამ იყვნენ კომუნისტები და თავისი მოვალეობა არასდროს არ დაუვიწყნიათ.

[illegible] თუ იტალიის სოციალისტები არ იქნებიან მიღებულნი მე-3 ე ინტერნაციონალში, განაცხადა ლაცზარიმ, ისინი მაინც მოითხოვენ იქ მათ მიღებასო, თუ არ მიგვიღებენ, ჩვენ მაინც არ გავილაშქრებთ მე-3 ინტერნაციონალის წინააღმდეგო. დადგება დრო, განაგრძო ლაცზარიმ, როდესაც ჩვენ მივაღწევთ მე-3 ინტერნაციონალშიო, რადგანაც შეიგნებენ იმ უსამართლობას, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ ჩადიანო.

რაღა თქმა უნდა, რომ „გამაერთიანებელნი" მათ გარიცხვას მე 3 ინტერნაციონალიდან სთვლიან უსამართლობათ.

ზევით მოყვანილ ლაცზარის სიტყვებიდან, სავსებით გამოსჭვივის თავისებური შეხედულება იტალიის სოციალისტებისა მე 3 ინტერნაციონალის მიმართ.

ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ ერთგულებას რევოლიუციონურ კომუნიზმის პრინციპების მიმართ, ერთგულებას, რომლითაც მათ შესძლეს ჩირქ—მოუცხებლათ გამოსვლა მსოფლიო ომის დროს, ეს მაშინ, როდესაც ყველა სოც.-დემოკრატიული პარტიები გაებნენ კაპიტალისტთა მახეში, ამასთან გაბედული პოლიტიკა მე-3 ინტერნაციონალთან აქტიურ სოლიდარობის დასამყარებლათ მეორე მხრით—ცდა დასარჩენათ თავის რაღაც განსაკუთრებულ იტალიანურ ნიადაგზე, გაუბედაობა „მოსკოვის პირობების" პირუთქმელათ მისაღებათ და ამავე დროს მოთხოვნა იმისა, რომ მათ მიეცეთ ალაგი მესამე ინტერნაციონალში.

ახლობელ მომავალი გვიჩვენებს, გამაგრდებიან თავის ალაგზე მე 3 ინტერ- [illegible] ალისტები, უმთავრესად ჩვენთან უფრო ახლო მყოფნი „გამაერთიანებელნი" რომელთაც ამ შემთხვევაში მოელით გადახრა მარჯვნით, თუ ნამდვილათ აღმოჩნდებიან ღირსათ მე-3 ინტერნაციონალში მიღებისა.

„გამაერთიანებელნი" აცხადებენ, რომ ისინი ეცდებიან ამის მისაღწევათ საერთაშორისო კომინტერნის კონგრესზე.

მოსალოდნელია აგრეთვე, რომ დარწმუნდენ რა, ლივორნოს კონგრესზე ამ პირობებში პარტიის განხეთქილების აუცილებლობაზე, რომელიც ძლიერ აშინებს „სერატიანელებს", ისინი ეცდებიან შეუთანხმდენ კომუნისტებს, რომ დაუბრუნონ პარტიას მისი მთლიანობა და ამით მიაღწიონ თავის მიზანს—არ გათიშონ სოციალისტური ძალები თავიანთ მოწინააღმდეგეთა გასახარებლათ, რომლებიც ასე გაფაციცებით ემზადებიან და იარაღს ისხამენ.

ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე ბომბაჩის სიტყვა, რომელიც მან გამოსთქვა განხეთქილების შემდეგ ინტერვიუს დროს, სადაც მან განაცხადა, რომ: რამოდენიმე ხნის შემდეგ, „გამაერთიანებელნი" მიემხრობიან კომუნისტებსო.

აქ შეიძლება განმეორდეს რამოდენიმეთ მაინც ის, რაც მოხდა გერმანიის „დამოუკიდებელთა" შორის.

ახლობელი თვეები იქნება გარდამწყვეტი იტალიის მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის.

ზორ—ვაკ.

კომუნიზმის შენება ადვილი საქმე არ არის. ყველამ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი! ყველამ გავიღოთ ჩვენი შრომის წვლილი. ჩვენ ახლა ჩვენს საკუთარ საქმეს ვაკეთებთ!

საერთაშორისო დღე

რუსეთის რევოლიუციის დაწყების მეოთხე წლის აღსანიშნავად დღე გაიმართება 8 მარტს.

მიმდინარე ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება $4^1/_2$ მილიონი კუბის გამოზიდვა. სათბობი მასალის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა დონის ოლქის—ამ ქვა ნახშირის წყაროს აღდგენა. სათბობი მასალის ფრონტზე გამოწვევა სამხედრო სამუშაო მობილიზაციით ყველა მცხოვრებთა, რეალური და ენერგიული დახმარება პარტიებისა და პროფკავშირებისა და სხვა ზომები, მიღებული რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების მიერ შეშის გამოტანისა და დამზადებისათვის მოგვცემს შეძლებას დროებით დავაღწიოთ თავი გაჭირებულ მდგომარეობას. მედგარი დახმარება რესპუბლიკის სათბობი ორგანიზაციებისა, მათი მუშაობის გაუმჯობესება საუკეთესო მომუშავეთა მოწვევით—ეს არის ჩვენი უპირველესი მიზანი, რომელსაც გვიკარნახებს თვით ცხოვრება. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ერთის მხრით, მიმდინარე მუშაობისა და მეორე მხრით კომპრგლავკომტროლის და გასათბობი მასალის დამზადების ორგანოების გეგმის შემუშავების შეთანხმებას.

წითელი ყაზანი.

ყაზანი. 28 თებერ. (რადიო) ყაზანის რაიონის მაჰმადიანის სათემოს რამდენიმე სოფელმა მოიმარაგა ბეღლებში ხორბალი 120 პროც. მეტი. 100 პროც. აღემატება ხორბლისა, აიხსნება წვრილ მხვნელთა მიერ დასათეს მოედნის გაფართოების ერთსულოვან სურვილით მოსავლის გადიდების ინტერესებისათვის, რათა შიმშილობა მოსპობილი იქმნას.

წითელი პეტროგრადი სიცივეს ებრძვის.

მოსკოვი. 3 მარტი. (რადიო) 26 თებერვალს პეტროგრადში მოვიდა 405 ვაგონი შეშა და 6 ვაგონი ნახშირი. 27 თებერვალს მოვიდა 545 ვაგონი შეშა, 13 ვაგონი ნახშირი და 9 ცისტერნი თხელი სათბობი მასალა. 28 თებერვალს მოვ და 227 ვაგონი შეშა, 12 ვაგონი ნახშირი და 3 ცისტერნი თხელი სათბობი მასალა.

ებრძვიან ცხოვრების დაშლას.

მოსკოვი, 3 მარტ. (რადიო). პირველ მარტს სადგურ ტამბოვის იაჩეიკის კომიტეტმა დაადგინა მოხდეს ზედმეტი მუშაობა ორთქმავლების შესაკეთებლად კვირაში 15 საათი.

ქალები უკან არ რჩებიან.

მოსკოვი, 3 მარტი, (რადიო). ციმბირის გუბერნიის ალტაირის მაზრის სოფლებში გლეხები ფრონტიდან დაბრუნებულების ზეგავლენით თანდათან გებულობენ რა არის კომუნისტები და როგორია მათი ცხოვრების წყობილობა. პარტიის რიგები სწრაფად ივსება. მუშა ქალების და გლეხი ქალების ყრილობას დაესწრო 19 დელეგატი კომუნისტ ქალებისა, რომლებიც სოფლებიდან ჩამოვიდნენ.

სათბობი მასალის თადარიგი.

მოსკოვი. 2 მარტი, (რადიო), (დასაწყისი არ არის მიღებული). უნდა ავიდეს 40 მილიონ ფუთამდე, მაგრამ, 1921 წელს განზრახულ რიცხვს დააკლდა 10 მილიონ ფუთამდე, მიუხედავათ იმისა, რომ 256 მილიონი ფუთი ნავთი იყო სათადარიგოთ. ნავიგაციის მთელ განმავლობაში ვოლგაზე მიტანილ იქმნა ნავთეულობა 15 მილიონ ფუთამდე. მეორე მიზეზი სათბობი მასალის შემცირებისა არის ის გარემოება, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ვერ მიაწოდეს მცხოვრებლებს სათბობი მასალა და ვერ დაამზადეს იგი თავისთვის ოჯახებში სახმარებლათ. დაწვრილებითი გეგმა მომარაგების 1921 წლისთვის არ იყო შედგენილი, იმიტომ რომ სათბობი მასალის უმთავრესმა მომხმარებლებმა დროზე არ წარმოადგინეს სწორი და განსაზღვრული მოთხოვნილება და ამის გამო შეუძლებელი გახდა რამებისა და სათბობი მასალის მომარაგების შედგენა. გარდა ამისა, საყოველთაო სახმარებელ საგნების მწვავე ნაკლებულობის, ლითონის სრულიათ უქონლობისა და სახელმწიფო სათბობი მასალის რეზერვების უქონლობის გამო ქარხნებმა დაიწყეს მუშაობა სათბობი მასალის მხოლოდ ერთის თვის მარაგით. მრეწველობის სათბობი მასალის კრიზისი შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ციფრებით: სათბობი მასალის მომარაგების პირვანდელი გეგმით განზრახული იყო გადაცემულიყო მრეწველობისათვის 600 000 კუბიკური საჟენი შეშა, ნამდვილათ კი სათბობი მასალის კრიზისი გამწვავდა. კიდევ იმიტომ, რომ მინერალურ სათბობი მასალის სიმცირის გამო ჩვენი სათბობი მასალის ბალანსათ რჩება მხოლოდ შეშა. 1920 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ყველა ძალების გაძლიერებით მომარაგებული იქმნა 10 მილიონი კუბიკური საჟენი შეშა; მიმდინარე წელს მომარაგება უფრო ინტენსიურათ სწარმოებს. ამა წლის პირველ ნახევარ წელს დამზადებული იყო $5^1/_2$ მილიონ კუბიკურ საჟენზე მეტი; იმავე დროს გამოზიდულ იყო 2,600,000 კუბიკური საჟენი, ე. ი. 2 მილიონით მეტი, ვიდრე გატანილი იყო ამ დროს განმავლობაში წინა წელს. პირველ იანვრისთვის რესპუბლიკას აქვს დამზადებული თითქმის $7^1/_2$ მილიონი კუბიკური საჟენი, რომლიდანაც 3 მილიონამდე დაწყობილია რკინის გზების მახლობლათ. თუ რომ 1921 წლის ივლისამდე დამზადებული იქმნება $5^1/_2$ მილიონი კუბი, მაშინ ზაფხულისთვის მომარაგებული იქნება 8 ნახევარი მილიონი კუბი. მომენტის უმთავრესი მიზანია რაც შეიძლება მეტი შეშა იქნეს გამოზიდული და ამისთვის საჭიროა ყველა ძალების გაძლიერება და შრომის ბეგარის ენერგიული გატარება.

საქართველოს მშრომელო, დღეს შენ თავისუფალი ხარ! დაამტკიცე, რომ ღირსი იყავ ამის!

საზღვარ-გარეთ

ერთა ლიგის საბჭოში.

ლიონი. 2 მარტი. (რადიო) სამშაბათს დილით ერთა ლიგის საბჭომ იქონია მსჯელობა ინტელექტუალურ მუშაობის მოწყობის შესახებ და მოიწონა ამერიკის საპასუხო ნოტის ტექსტი მანდატის შესახებ.

ირლანდია.

ნაუენი. 2 მარტი. (რადიო) ულსტერის პარლამენტში არჩევნები აპრილის 1 მოხდება.

ოსმალეთზე გავლენა.

ნაუენი. 1 მარტი. (რადიო) ბელგრადის „ტრიბუნა" იუწყება: სტამბოლში მოვიდა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის 60,000 მეტი ჯარისკაცი, რათა ოსმალეთზე ზეგავლენა მოახდინოს.

ლონდონის კონფერენცია.

ლიონი. მარტის 2. (რადიო) (დასაწყისი არ მიგვიღია) გერმანიას მოუწევს გადახდა 30 წელში 30 მილიარდისა. დოკტორ სიმონსის მოხსენებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნაუენი. 2 მარტი. (რადიო) გერმანელ დელეგატებს ლონდონში მისვლისას მიესალმენ ელჩი სტამერი და გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი. სიმონსმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. გერმანიის დელეგატებს მიმოსვლის თავისუფლება მისცეს, რასაც ისინი პარიზსა და სპაში მოკლებულნი იყვნენ. ინგლისური პრესა სკეპტიკურათ არის განწყობილი. მოუთმენლათ მოელიან გერმანელთა კონტრ-წინადადებას. ინგლისის გაზეთები ეკონომიურ მხარეს აქცევენ ყურადღებას, საფრანგეთის კი პოლიტიკურს.

გაფიცვები პოლონეთში იზრდება.

ნაუენი. 2 მარტი. (რადიო) მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო რკინის გზელთა გაფიცვის წინააღმდეგ, გაფიცვა მაინც მოედო ტრამვაის სტამბების და ქარხნების მუშებს. ვარშავის გაზეთებიდან ორშაბათს მხოლოდ ერთი გაზეთი გამოვიდა.

გერმანია და ანტანტა.

გერმანიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა სიმონსმა განაცხადა კონფერენციაზე ლონდონში, რომ გერმანიას არ შეუძლია დააკმაყოფილოს პარიზის თათბირისაგან დაკისრებულ ვალდებულება. პირველ ხუთი წლის განმავლობაში გერმანიას არ შეუძლია გადაიხადოს ხუთი მილიარდზე მეტი ყოველწლიურათ. ამასთანავე დიდი ნაწილი ამ თანხისა უნდა დაიფაროს თავისუფალ კერძო საქმეებიდან მოპოვებულ ფულით, რომელიც წარმოებდა გერმანელთა მეწარმოებლების და მოკავშირეთა ინტერესებისათვის. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ განაცხადა, რომ ამ განსაზღვრულ თანხის მიცემა ყოველ წლიურათ შეიძლება იმ შემთხვევაში თუ: ა) პლებისციტის ზემო სილეზიაში დამთავრდება გერმანიის სასარგებლოთ. ბ) თუ მსოფლიო ვაჭრობა იქნება განთავისუფლებული იმ შეზღუდვისაგან, რომლითაც ის ამჟამათ შევიწროვებულია, და გ) თუ საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში თავისუფლების რეჟიმი და თანასწორობა იქნება აღდგენილი. ამის შესახებ ფრანგული პრესა სწერს: გერმანიის განცხადებანი იმედს უცრუებს მათ, ვისაც იმედი ჰქონდათ ლონდონში დაინდობოდნენ გერმანიის კეთილ განზრახვებს. ლოიდ ჯორჯი არ მალავს თავის გულის წყრომას, გერმანიის კონტრ წინადადების გამო.

ლოიდ ჯორჯმა ირონიულად განაცხადა, რომ სიმონსის სიტყვა ათი წუთით კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ის სავსებით დაარწმუნებდა ანტანტის წარმომადგენელთ, რომ თვით მათ მართებთ ვალი გერმანიისო. ასე რომ ლონდონის კონფერენციაზე კიდევ უფრო გაღრმავდა წინააღმდეგობა გერმანიისა და ანტანტის შორის.

„მატენი" აღნიშნავს „გერმანიის ცინიკურ ყოფაქცევას" და სთვლის შესაძლებლად, რომ ამ ამბებმა, შეიძლება მოულოდნელი მიმართულება მიიღოს. გაზეთი კმაყოფილია ლოიდ ჯორჯის მტკიცე განცხადებით, რაც მაჩვენებელია მოკავშირეთა სოლიდარობისა. გერმანული პრესსა თავის მხრივ ხაზგასმით ამბობს, რომ გერმანია იმდენათ წინ წაწეულია, რომ დათმობას ადგილი არ უნდა ჰქონდესო. „როტე ფანე" თავის მხრივ აცხადებს, რომ ანტანტა არც უწინ უწევდა ანგარიშს გერმანიის მდგომარეობას და ამისათვის ლონდონის კონფერენციის პოზიცია არავისთვის გასაკვირალი არ არისო. „ფორვერსტი" დაასკვნის, რომ იმედი გერმანიის ანტანტასთან შეთანხმებისა ძალიან ცოტაა, რადგან ლოიდ ჯორჯის მიერ წარმოთქმული ორიოდე სიტყვები საკმარისად მკაცრია, რომ გავითვალისწინოთ მთელი უიმედო მდგომარეობა.

კიდევ ერთი მეფის ხცე᾿იდან ჩამოხვლა.

ლიონი. (რადიო) ჩერნოგორიის მეფე გარდაიცვალა თავში სისხლის ავარდნით, მეფე ავად იყო მხოლოდ ორი დღე.

მოსკოვი. 2 მარ. (რადიო). ლიტვის ოფიციალური პრესა იუწყება, რომ დასავლეთ სახელმწიფოებს უნდათ ლიტვაც ჩაითრიონ საერთაშორისო ინტრიგებში და გახადონ ბარიერად საბჭოთა რუსეთ გერმანიის შორის, მაგრამ ლიტვა კარგად გრძნობს, რომ ამ სახელმწიფოთათვის საჭიროა ურთი-ერთობა: „საბჭოთა რუსეთთან უფრო ადვილი იქნება ცხოვრება, ვიდრე რუს ემიგრანტებთან", სწერს ერთი გაზეთი.

რაღაც უნდათ გააკეთონ.

მოსკოვი, 2 მარტი. (რადიო). რუმინელ გაზეთების ცნობით მარტის პირველ რიცხვებში რუმინეთში ჩამოვა მარშალი ფოში სამხედრო და პოლიტიკურ მისიებით.

გაფიცვები საბერძნეთში.

საბერძნეთის გაზეთების გადმოცემით ფრაკიაში დიდი არეულობა დაიწყო. გამოცხადებულია სამხედრო წესები. მთელ საბერძნეთში მღელვარებაა. მუშები გაიფიცენ. ქარხნები დაიკეტა. ქალაქები სიბნელით არის მოცული.

ქრონიკა

სასურსათო განყოფილება. განყოფილებამ შეისყიდა კახეთში 3 ვაგონი ხორბალი, რომელიც მოკლე ხანში თფილისში იქნება ჩამოტანილი.

◆ **პური მცხოვრებთათვის.** მცხოვრებლებს პური მიეცემათ სულზე $^1/_2$ გირვანქა. მხოლოდ მუშა-მოსამსახურეებს სულზე 1 გირვანქა. ფქვილის მიღების შემდეგ პურის რაციონი გადიდდება.

◆ **პური მუშა მოსამსახურეებს.** ნარკომპროდმა სასწრაფოთ გასცა ბრძანება, რომ 4 მარტიდან მუშა მოსამსახურეებს სულზე 1 გირვანქა პური მიეცეთ უფასოდ.

◆ **საბინაო განყოფილება.** საბინაო განყოფილება საგანგებო საბინაო სამმეულს, რომელიც შესდგება რევკომისა, მე-2 ლაშქარის საგანგებო განყოფილებისა და ქალაქის კომენდანტის წარმომადგენლებისაგან, მის დანიშნულებას შეადგენს ყველა თავისუფალ და გაქცეულ ბურჟუაზიის ბინების აღრიცხვა და მათი განაწილება როგორც სამხედრო დაწესებულებათა საჭიროებისათვის, აგრეთვე კერძო პირთა შორის. ბინის მიკუთვნების დროს უპირატესობა მიეცემა ოჯახიანებს.

◆ **ქალაქის მილიციის დაქვემდებარება.** გორევკომის დადგენილებით ქალაქის მილიციის სამეურნეო ნაწილი, ემორჩილება ქალაქის გამგეობის სადმინისტრაციო ნაწილს, ხოლო ქალაქის დაცვის საქმეებში მილიცია ექვემდებარება გორევკომს.

◆ **ქალაქის წარმოებათა მოქმედების დაწყების წესი.** რევკომმა დაადგინა: განყოფილებათა გამგეებმა წარმოადგინონ სათანადო მოხსენებანი ახალ წარმოებათა გახსნის შესახებ და დაასრულონ დაწყებული საწარმოო დაწესებულებანი რევკომის სანქციით.

◆ **მოსამსახურეების მიღება და დათხოვნა.** მიღება და დათხოვნა ქალაქის თვითმართველობათა მოსამსახურეების, თანახმად რევკომის დადგენილებისა, ხდება ქალაქის გამგეობის განყოფილებათა გამგის მიერ და რევკომის სანქციით, განყოფილებათა გამგენი აწარმოებენ მიმდინარე ხარჯებს ნება დართულ კრედიტის მიხედვით. ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე ხარჯებს—რევკომის სანქციით.

◆ **ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მდგომარეობა.** 1 მარტს, საღამოს 6 საათზე მოხდა გორკოვმისა, ყოფილი ქალაქის გამგეობის წევრების და საქართველოს ცენტრალური რევკომის წარმომადგენელთა საერთო თათბირი. განყოფილების გამგეთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის მეურნეობა ძალა-უფლების გადასვლის დროს ძლიერ შეირყა. რევკომმა დაადგინა: ვინაიდან ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი უკიდურეს კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან არ მიუღიათ თებერვლის ჯამაგირი და გასული ხნის ზოგიერთი დამატებითი თანხა—დაეხმარონ მათ და ამისათვის გამოინახოს საშუალება მათ დასაკმაყოფილებლათ როგორც ჯამაგირის მიცემით, აგრეთვე სურსათის მიწოდებით, დაადგინა: თავისუფალი თანხა 12 მილიონი მან., რომელიც იმყოფება ქალაქის გამგეობაში, გამოაყენონ მოსამსახურეთა ავანსისათვის მათი გასული ხნის ჯამაგირების ანგარიშში. შემდეგ რევკომმა დაადგინა ქალაქის სალაროში აღმოჩენილ 7 მილიონი მანეთი გამოიყენოს ქალაქის გამგეობის მიმდინარე ხარჯებისათვის.

◆ **ჩამოხვლა.** ბაქოდან თფილისში ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის რესპუბლიკის მე 11 არმიის და ფლოტის ჩუსხაბარმი ამხ. ლებედევი, სამხედრო გზათა მიმოსვლის უფროსი ბელოვენეცი, სამხედრო კომისარი კინსკი და ინჟინრები ლიბინი, სუმკოვი, პიშკინი და ელდრეჯი.

◆ **ნარკომპროდი.** საქართველოს რევკომის დადგენილებით სახალხო სასურსათო კომისრათ დაინიშნა ამხ. ოკუჯავა. მასთან იქნება კოლეგია 4 პირისაგან შემდგარი. კოლეგიაში დანიშნულია ჯერ-ჯერობით ორი პირი ამხ. ერქომაიშვილი და ამხ. ახვლედიანი.

◆ **პური მუშებს უფასოდ.** საქართველოს რევკომმა დაადგინა მარტის 2, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობდენ პურს სასადილოთ მუშათა მაგიდიდან, ამიერიდან უფასოდ მიეცეთ.

◆ **გორევკომში.** საქართველოს რევკომის დადგენილებით ტფილისის გორევკომის წევრათ დაინიშნა ლევან გაბერიძე.

◆ **პროფკავშირების გამომცემლობა.** მოეწყო პროფკავშირების საგამომცემლო კომისია, რომელსაც განზრახული აქვს პროფესიონალური მოძრაობის შესახებ ჟურნალებისა და ლიტერატურის გამოცემა. საგამომცემლო კომისიამ დაადგინა—არსებული ლიტერატურა გადათარგმნოს და გამოსცეს ქართულ ენაზე. კომისიას აქვს [illegible] სტამბა.

◆ **რევოლ. ტრიბუნალში.** მარტის 1 სასამართლოს დაწესებულებათა დარბაზში მე-11 არმიასთან არსებულმა სამგზავრო რევოლ. ტრიბუნალმა დაიწყო მუშაობა. საქმეები უკვე შემოვიდა და მარტის 6—7 დაიწყება მითი გარჩევა. ამ დღეებში შესდგება რევოლ. ტრიბუნალის სხდომა სისხლის სასამართლოს მილიციის საგანგებო საგამომძიებლო კომისიის, ქალაქის საკომენდანტოს და ნარკომიუსტას წარმომადგენლების მონაწილეობით.

◆ **თფილისის გორრევკომის განცხადება.** თფილისის გორრევკომი აცხადებს, თუ ჯარის ნაწილებმა ან კერძო სამხედრო პირებმა საბინაო სამეულის ნებადაურთველად დაიკავონ ბინა, დაინტერესებულ დაწესებულებებმა თუ კერძო პირებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ ქალაქის საკომენდატოს ბარიატინსკის ქუჩაზე.

◆ **40 ვაგონი ფქვილი.** მარტის 3 თფილისში მოვიდა 40 ვაგონი ფქვილი. ვაგონებიდან გადმოტვირთვას უკვე შეუდგნენ.

— მარტის სამიდან მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცემათ გადიდებული პურის ულუფა სულზე $^3/_4$ გირვანქა.

◆ **სასურსათო განყოფილება.** განყოფილებამ ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრაში გაგზავნა შემსყიდველთა აგენტები.

◆ **თფილისის რევკომში.** მარტის 2-ს სხდომაზე თფილისის რევკომმა დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს პროდკომს, გაადიდოს პურის ულუფა იმ პირთათვის, რომლებიც სამკურნალოთ იმყოფებიან ქალაქის საავადმყოფოებში. სურსათი საავადმყოფოებს მიეცეს ნისიათ, მანამდის, სანამ არ მოწესრიგდება მათი ფინანსიური მდგომარეობა. 2) ვინაიდან ქალაქი ძალიან უსუფთაოთ არის და შეუძლებელია გადაიდები სენი გაჩნდეს გაზაფხულს, წინადადება მიეცეს საექიმო, სასანიტარო ნაწილის მთავარ რწმუნებულს ამხ. კიკალეიშვილს მიიღოს სასწრაფო ზომები ქალაქის გასასუფთავებლად ერთი კვირის განმავლობაში. 3) იმავე მთავარ რწმუნებულს მიენდოს მოგროვება (კონცენტრაცია) ერთ ალაგას ყველა სახელმწიფო და საზოგადო საავთიაქოს საწყობების საქონლის, რომ ადვილი იქნეს მათი ანგარიში და მედიკამენტების დანაწილება.

— საექიმო სასანიტარო ნაწილის მთავარ რწმუნებულის ამხანაგად დაინიშნა ამხ. ექიმი ი. მამულია.

◆ **კანტორის მოსამსახურეთა კრება.** კვირას, მარტის 6-ს დილის 10 საათზე, რეალურ სასწავლებლის შენობაში, (ნაბერეჟნაია ქუჩა) მოხდება ამხ. ბუღალტერების, კონტორჩიკების და მოანგარიშეების საერთო კრება.

◆ **ხურსათი.** გოპროდკომმა დააწესა შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი—300 მანეთი გირ., ცხვრის ხორცი—350 მან. გირ., კამეჩის ხორცი—200 მან. გირ. და ღორის ხორცი, ტყავიანი 400 მან. გირ. ეს ნიხრი დაწესებულია ერთი კვირით. გოპროდკომი სთხოვს ყველა მოქალაქეთ, დაიცვან ნიხრი, თუ ვინმემ დაარღვია, უნდა ეს აუწყონ გოპროდკომს, სავაჭრო ზედამხედველობას ან მილიციას.

— ნარკომპროდი გადავიდა ყოფილ მომარაგების სამინისტროს ბინაზე, ევანგულოვის ქ., პირველი შესახვევი.

— ნარკომპროდმა განკარგულება გასცა, რომ რკინის გზის პაკჰაუზებსა და ვაგონებში მყოფი, ანგარიშზე აღებული სურსათი, ნარკომპროდის საწყობებში გადაიტანონ.

— ნარკომპროდი აუწყებს კერძო პირებს, კომიტეტებს და მოსამსახურეებს, რომ ვინც იცის, ნარკომპროდს უნდა აუწყოს, თუ სად და რა საქონლის საწყობები, ფაბრიკები და ქარხნებია უპატრონოდ დარჩენილი, რათა ანგარიშზე იქნეს აღებული.

◆ **საშვიდობო დელეგაცია.** რევკომის სამდივნოში მიღებულ ცნობების თანახმად, 2 მარტს დილის 5 საათზე ფრონტისაკენ [illegible] გაემგზავრა დელეგაცია რომელშიაც შედიან უნივერსიტეტის პროფესორი მ. წერეთელი, (ანარქისტი), [illegible] უპარტიო, [illegible] და [illegible]

(შემარცხენე ესერი). დელეგაცია გაემგზავრა მენშევიკურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ. თვით დელეგაცია თავის ინიციატივით შესდგა. დელეგაცია წასულია მოსალაპარაკებლათ რევკომის თანხმობით. ზომებია მიღებული რომ დელეგაციამ დაუბრკოლებლივ მიაღწიოს ფრონტის მოწინავე ხაზზე.

◆ **პური.** სახალხო სასურსათო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს 3 ჯერ გაადიდოს ქალაქში პურის გამოცხობა.

— სახ. სასურს. კომისარიატმა წინადადება მისცა მუშათა მაგიდას გაადიდოს პურის ულუფა გირვანქამდე სულზე და დაარიგოს არა მჭადი, არამედ პური. როგორც იუწყებიან, სასურსათო განყოფილება ულუფის ამ წესით დარიგებას დაიწყებს 3 მარტიდან.

◆ **სახლის კომიტეტების დაარსება.** რაიონებში სანოვაგის დარიგებისათვის სახალხო სასურს. კომისარიატი შეუდგა სახლის კომიტეტების მოწყობას.

◆ **პური და მაზუთი საბჭოთა რესპუბლიკებიდან.** სახ. ს. ს. კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოს ეგზავნება 1) 70 ვაგონი ხორბალი, რომლიდანაც 40 ვაგონი ევლახს გამოშორდა, 30 კი აჯიკაბულს, ამის გარდა ადგილობრივ დატვირთულია 80,000 ფუთი, 2) 279 ცისტერინა მაზუთი, რომლიდანაც 89 უკვე ალიატიფას გამოცილდა 29—განჯას, 61—ევლახს და 100—ბალაჯარას.

◆ **რკინის გზებზე** საქართველოს რევკომის საგანგებო რწმუნებულად რკინის გზების სამმართველოში დანიშნულია ამხ. ი. ელიაკიძე.

— გზათა დროებით უფროსად ამხ. ვ. რაზბროჩიკოვი, რკინის გზის ცალკე ბრიგადის მე-9 განყოფილების უფროსი

— საგანგებო რწმუნებულად რკინის გზებისათვის სათბობ მასალის მისაწვდენათ დანიშნულია ამხ. ოგანოვი

— ექსპლოატაციის დროებით უფროსად დანიშნულია ამხ. ი. ცომაია.

— თფილისის სადგურის უფროსად დანიშნულია ამხ. ა. შაპოშნიკოვი.

— პასუხისმგებ რწმუნებულად კახეთის რკ. გზ. მმართველობაში დანიშნულია ამხ. მონჯანიძე.

— რკ. გზ. მილიციის პასუხისმგებ ორგანიზატორად დანიშნულია ამხ. ქუჩულორია.

— სადგურ თფილისის კომენდანტათ დანიშნულია ამხ. აბაშიძე.

— ტელეგრაფის უფროსად დანიშნულია ამხ. ქავთარაძე.

— იმ თანხის გადასინჯვის დროს, რომელიც ქონდათ არტელშჩიკებს, აღმოჩნდა 26 495 000 მ..

საქართველოს მშრომელებო! მუშებო და გლეხებო! კომუნისტური პარტია — ეს თქვენი პარტიაა, თქვენი ოჯახია, მოუარეთ მას, გააღონიერეთ, გააძლიერეთ, შევსეთ მისი რიგები.

წითელი ლენტი და შავი გული

საბჭოთა ჯარების თფილისში შემოსვლის პირველი დღიდან ქალაქში თავი იჩინა ერთნაირმა სენმა, რომელსაც დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო, თუ არ გვინდა, რომ პროლეტარიატის სუფთა სახელს ჩირქი მოეცხოს. აუარებელმა საეჭვო პირებმა, რომლებსაც წინეთ საბჭოთა მთავრობის ხსენებაზე სახე ელმისფერდებოდათ სიბრაზისგან, ეხლა წითელი ლენტები მიიკრეს გულზე და აბრწყინვებული სახით აკეთებენ შავ საქმეებს. საერთო ქაოსის დროს გადატრიალების პირველ დღეებში მათ იგდეს ხელში „მანდატები“ და ბოროტათ იყენებენ მას. ასეთ მოვლენას სასწრაფოთ უნდა ბოლო მოეღოს. რევოლიუციონური კომიტეტი უძლურია ამ საქმეში, თუ მას დახმარებას არ აღმოუჩენენ ავტორიტეტული ორგანოები, როგორიც არის პროფესიონალური კავშირები, პარტიული ორგანიზაციები და სხ. სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ეს ორგანოები ვერ უწევენ საჭირო დახმარებას რევოლიუციონურ კომიტეტს. პირიქით, თვით ამ ორგანიზაციების სახელით ბევრი წითელი ლენტიანები გარედან და შავი გულიანები შიგნიდან ხელს უშლიან რევოლიუციონური კომიტეტის მუშაობას და მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას.

ამასთანავე არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც წუწუნისა და მოთქმა-გოდების მეტს არაფერს აკეთებს. ბატონებო! მოჰკიდეთ გულწრფელად საქმეს ხელი და თავი ანებეთ წუწუნ გოდებას. საქმით და არა მოთქმით შეიძლება ცხოვრების კალაპოტში ჩაყენება. რევოლიუციონური კომიტეტი სიხარულით მიეგებება ყოველივე კეთილი საქმის ინიციატივას და არავითარ დაბრკოლებას არ დაუყენებს წინ მას.

ს. თ—ია.

ხელოვნება საბჭოთა რუსეთში

ყველამ კარგათ იცის, თუ რა დიდ სიყვარულს იჩენენ კომუნისტები ხელოვნებისადმი და ისიც კარგათ მოეხსენება, თუ რა დიდ დახმარებას და ზრუნვას უწევს სოციალისტური სახელმწიფო ხელოვნების მსახურთ, მათ მოყვარეთ და წარმომადგენელთ.

მოსკოვის მთავრობა ამ მხრივ ზრუნავს იმათზედაც კი, ვისაც ან ყურის, ან თვალის, ენის და სხვა ამ გვარ სიმახინჯის მიზეზით, ვერ ძალუძთ ეზიარონ წმინდა ხელოვნების უკვდავ საიდუმლოს.

აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ მოსკოვის გაზეთი „იზვესტია“ (იხილე ამა წლის 5 თებერვ. № 25—1165):

„მოსკოვის ერთ-ერთ უბანში განსაკუთრებით ყრუ-მუნჯთათვის გამოჰყავს ერთი თეატრი. ეს თეატრი ტეხნიკურად უკანასკნელ მოწყობილობით არის დამუშავებული. როგორც მსმენელები, ისე მსახიობებიც ამ ტიატრისა არიან ყრუ-მუნჯნი. დასი შესდგება 25 კაცისაგან და დაარსდა 1918 წ. თეატრი თავისი მიზნით და მუშაობით იპყრობს დიდ ყურადღებას, როგორც პროვინციის სხვადასხვა ორგანიზაციებისას, აგრეთვე ჩვეულებრივი თეატრის ცენტრალურ დაწესებულებისას.

სახელმწიფოც დიდ ნივთიერ დახმარებას უწევს. თეატრი ჩქარის ნაბიჯით ვითარდება და ფართოვდება. წახალისებული ხელოვნების ტაძარი აღფრთოვანებითა შლის თავის შემოქმედების ფრთებს“.

კომენტარიები ვგონებთ საჭირო აღარ არის.

მოხეტიალე მუსიკოსი.

წერილი რედაქციას

გულის ღრმა მწუხარებით სარწმუნო წყაროდან გავიგე, რომ ეგრედ წოდებული „ერევნის გადატრიალება“ ავანტიურის ასრულებელნი ბრმა იარაღათ გამხდარან საშინელ მუხანათობისა თვით სომეხ ხალხის და მისი საკითხის წინააღმდეგ და რომ გადატრიალება მომხდარა სისხლის ღვრით. ამგვარათ ახალი უბედურება ატყდება სომეხ ხალხს თავზე სწორედ იმ დროს, როცა იგი უნდა განთავისუფლებულიყო ყოველ-გვარი უბედურებისაგან. სასტიკ პროტესტს ვაცხადებ რა ამ უბედურ შემთხვევის და მომხდარ ბარბაროსობის გამო, როგორც სომხის ხალხის პოეტი, რომელსაც დიდი რწმენა აქვს ახალი რუსეთისა, ვთხოვ საბჭოთა რუსეთს მოაშოროს სომხის ხალხს ეს უბედურება, რომ ახალი იარები არ მიემატოს მის ურიცხვს ნორჩ იარებს და შევიდეს რუსეთი ერევანში მისთვის ჩვეულ დიდ სულოვნებით და არ დაატეხოს თავის გულისწყრომა სომხის ხალხს, რომელიც ამ საქმეში დამნაშავე არაა, მით უმეტეს, რომ ავანტიურისტები ერევანში არ იქნებიან.

ოვანეს თუმანიანცი.

პროფესიონალურ კავშირებში

ფარმაცევტების კრება.

2 მარტს მუშათა სასახლეში მოხდა თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 300 მუშა-მოსამსახურეები. მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. მ. ნუცუბიძემ, რომლის შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის არჩევნებს. გამგეობაში არჩეულ იქნენ 11 წევრი, რომლიდგანაც 8 კომუნისტია, 2 სოც.-ფედერალისტი და 1 სინდიკალისტი.

გამგეობაში შედიან შემდეგი ამხანაგები: 1) ჯულელი, 2) ნუცუბიძე, 3) კაჩხოევი, 4) ცხომელიძე, 5) გოგიბერიძე 6) კობალაძე, 8) ბეჟანოვი, 9) ტყეშელაძე, 10) ქოთავა, 11) ჩიქოვანი. კანდიდატებათ 1) ცომაია კ., 2) კორძაია. 3) მიკირტუმოვი, 4) კორინთელი, 5) მედნიკოვი. სარევიზიო კომისიის წევრნი: 1) ნინა ჯულელისა, 2) ცომაია შ., 3) ფირალიშვილი, კანდიდატებათ: 1) მგალობლიშვილი, 2) ქართველიშვილი

საქართველოს პროფ. კავშირთა დროებითმა ბიურომ დაადგინა ახალი წევრებით შეავსოს იმ კავშირთა გამგეობები, რომელთა წევრებიც გაიქცნენ და მოიწვიოს საინიციატივო ჯგუფები იმ კავშირების რეორგანიზაციის მოსახდენად, რომლებიც დაიშალა. საინიციატივო ჯგუფი მოეწყო 15 კავშირში. ზოგან საინიციატივო ჯგუფებმა მოაწყვეს საქარხნო კომიტეტები და თავის წრიდან გამოჰყვეს კიდევ ცალკე ჯგუფები, რომელნიც აღრიცხვაზე ღებულობენ წარმოებებს: მეტყავეებმა, ნემსის პროლეტარიებმა, ცრბოს და საპნის ქარხნის მუშებმა, მჭედლებმა, მეთამბაქოებმა, ფარმაცევტებმა, ტრამვაელებმა, სახალხო კავშირის მოსამსახურეებმა და რაბისმა. ანგარიშზე აღებულ წარმოებათა მუშებმა წინადადებით მიმართეს პროდკომს მოაწყონ სასურსათო საგნების განაწილება.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში.

ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიო-ტელეფონის კომისრად დაინიშნა ამხ. ეჯიბია, მის თანაშემწეთ მე 11 არმიის პოლტ-ოტდელის წარმომადგენელი ამხ. გავრილოვი. საქართველოს სახალხო კავშირის მომუშავეთა საერთო კრებაზე დაადგინეს მოსკოვის, ბაქოს და ერევნის სახალხო კავშირებს გაეგზავნოს შემდეგი დეპეშა: საქ. სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კავშირის დროებითი რევოლუც. ც. კ. თავისი არჩევის დღეს გულწრფელ სალამს უძღვნის თავის უფროს ძმას დიად რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცეკანარევიაზს, გამოსთქვამს მხურვალე სურვილს მჭიდროდ დაუახლოვდეს მოსკოვის ც. კ ს შეთანხმებულ კეთილმყოფელ მუშაობისთვის, ორივე მეგობარ და მოკავშირე ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სარედაქციო კოლეგია

ბრძანება

თბილისის გარნიზონისადმი

1. ვუბრძანებ ყველა იმათ, რომლებიც წინათ მუშაობდენ [illegible] ს ავიაციო სახელოსნოებში, პარკებში, სკოლებში და სამმართველოებში, 3 დღ განმავლობაში გამოცხადდენ ქ. თფილისის კომენდატთან (ბარიატინის 8) რე გისტრაციისათვის და შემდეგ წარსდგენ საქართველოს რესპუბლიკის მე-1 არმიის საჰაერო ფლოტის უფროსთან და წითელ მფრინავ ამხალუვარდინთ (განოვის ქ. № 5).

2. ვაცხადებ დაუყონებლივ შესასრულებლათ: ჯარის ნაწილები და აბ ზები უნდა მოთავსდეს ქალაქის განაპირა ყაზარმებში. კერძო ბინების დაკავ ბა წითელ არმიელების და სამხედრო მოსამსახურეების მიერ აკრძალული კერძო ბინის პატრონმა,—თუ წითელ არმიელი თავის ნებით მისი ბინის დაკ ვებას მოინდომებს დაუყონებლივ უნდა აცნობოს საკომენდატოს—დამნაშავე პასუხისგებაში მისაცემად.

3. ჯარისა და ბრიგადის შტაბებს ვუბრძანებ მარტის 3-ს გაანთავისუ ლონ დაკავებული შენობები და საბინაო კომისიის მიერ მიცემულ შენობებ მოთავსდენ. სკოლებისა და ყაზარმების დაკავება არავითარ შემთხვევაში ა შეიძლება.

4. კერძო სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც წარმოგზავნილი არი თფილისში ბინის შესახებ, მიმართონ საკომენდატოს, რომელიც მოათავსებს მა საბჭოთა სასტუმროებში.

5. 3 დღის განმავლობაში მარტიდან სამხედრო დაწესებულებებისათვის ა ტომობილის მოთხოვნა გარდა სანიტარულ დაწესებულებისა არ იქნება დაკმ ყოფილებული.

6 ქალაქის ქუჩებში ავტომობილებისა და სხ. ნამეტანი ჩქარი გატარებ აკრძალულია. მსუბუქ მანქანებს ნება ეძლევათ საათში 15 ვერსის გავლისა, ს ბარგოს კი 10 ვერსისა.

7. თფილისში მყოფი მუსიკოსები მარტის 2 სარეგისტრაციოთ უნდა გა მოცხადდენ ქალაქის კომენდატთან.

8. ქუჩებში ტალახია. ვუბრძანებ მილიციის უფროსს სასტიკი თვალყურ ადევნოს ეზოებისა და ქუჩების გაწმენდას.

9. სამხედრო შტაბებისა, სამართველოებისა და დაწესებულებების საყურა დღებოთ ვაცხადებთ, რომ თფილისში მარტის 1 დან არსებობს ქალაქ გარე გამსვლელთათვის სესია № 2, მე 11 არმიის სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუ ნალთან, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩა № 32.

10. ვუბრძანებ სამხედრო შტაბების, სამართველოების, დაწესებულებებ და ჯარის ნაწილების უფროსებს 1. თუ დანაშაულობა აღმოჩნდა, დანიშნო გამოძიება დანაშაულობის არსებით გამოსარკვევად. 2. გამოარკვიონ საქმ დისციპლინალურ წესით, უნდა წარიმართოს თუ სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალს გადაეცეს. ამ მცირე დანაშაულობის შემთხვევაში სასჯელი თვით მიუსაჯონ თანახმად რესპუბლიკის სამხედრო სარევოლიუციო საბჭოთა დებულე ბისა 1920 წ. ივლისის 7 თარიღით № 1244. 4. ის საქმეები, რომელიც არ შეიძლება დისციპლინალურ წესების მიხედვით გაირჩეს, უნდა გადაეცეს მე-1 არმიის რევოლ. ტრიბუნალის სესიას. მე-11 არმიის სახელზე გადაგზავნილ დაპატიმრებულ თუ არ იქმნა წინასწარი გამოძიება მიღებული არ იქნება.

11. ვუბრძანებ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის საინჟინერო ნაწ ში მომუშავეთ გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ პასკევიჩის ქ. 11 ბინა თამამ შევისა 18 19 საათამდი.

გარნიზონის უფროსი ველიკანოვი, ვოენკომი რატნესკი, თბილისისა და მის რაიონის კომენდანტი აბაშიძე.

საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირ აცხადებს შემდეგს:

„საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ც. კ., რგვალი და შტემპელიანი ძველი ფარული ბეჭედი, 1921 წლის 3 მარტიდან გაუქმებულად ითვლება 3 მარტიდან ყველა მიმოწერებს, ც. კ. მიერ წარმოებულთ, დასმული ექნება ახალ ბეჭედი პასუხისმგებელი მდივანი ც. კ. ამას.

პასუხისმგებელი მდივანი ც. კ. ამას.

5 მარტს, საღამოს 5 საათზე სტუდენტთა სასადილოში

დანიშნულია კომუნისტ და თანამგრძნობ სტუდენტთა

საერთო კრება

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

დროებითი ბიურო.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კავშირის მთავარი გამგეობა,

შაბათს, მარტის 5 ს ნაშუადღევის 1 საათზე, არტისტიული საზოგადოების თეატრის დარბაზში

ნიშნავს საერთო კრებას

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე.
2) ძველი გამგეობის მოხსენება.
3) ახალი გამგეობის წევრთა არჩევანი.
და სხვა კითხვები.

დასწრება ყველა მუშა მოსამსახურეს ევალება.

კავშირის გამგეობა.

თბილისის აფთიაქებში მომუშავეთა საყურადღებოდ.

ყველა აფთიაქებში მომუშავინი ვალდებული არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ მუშათა სასახლეში, 7 მარტამდის.

რეგისტრაცია სწარმოებს კავშირის მდივანთან,

დილით 12—2 ს., საღამოობით 6—8 ს.

გამგეობა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის 4 რაიონის ბიურო აუწ ყებს ამ რაიონის წევრებს, რომ ა. წ. 4 მარტიდან დაიწყებ

პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაც

ვინც არ გამოცხადდება, პარტიიდან გასულად ჩაითვლება. რეგისტრაცია იწარმოებს: დილით 10—1 ს. და საღამოთ 5—8 ს. ბიუროს ბინაზე—ოლღას ქ. სახლი № 29. (ყო ფილი შენობა მუშათა კლუბისა ვერაზე). სარეგისტრაციო გამოცხადების უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 18 მარტი.

ს. კ. პ. თბილისის ორგ. 4 რაიონ ბიურო.